

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
ministry of environment and natural resources protection of georgia



გარემოს ეროვნული სააგენტო NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY



KARR0109869222914

Tel +995 32 2439502 Fax +995 32 2439903

E-mail info@meteo.gov.ge

დ. აგმაშენელიის გამზ. 150 0112, თბილისი, საქართველო
150 D. AGMASHENELI AVE. 0112, TBILISI, GEORGIA
Web www.meteo.gov.ge

21/1376

23 /

დეკემბერი / 2014 წ.

შპს „RMG Gold“ -ის გენერალური დირექტორის
მოადგილეს
ბატონ დავით ბალანჩივაძეს
(ქ. თბილისი 0160, შ. ალექსიძის ქ. 1)

ბატონო დავით,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2014 წლის 15 დეკემბრის №449/1 წერილი შპს „RMG Gold“ -ის წიაღით სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC) ვადის გაგრძელების თაობაზე და გაცნობებით შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „RMG Gold“ ფლობს სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის (შესწავლა-მოპოვების) ლიცენზიას №1002122 (გაცემულია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2012 წლის 21 მაისის №13/28 ბრძანების საფუძველზე), რომლის ამოქმედების ვადად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №592 განკარგულების საფუძველზე განსაზღვრულია 2015 წლის 1 იანვარი (ლიცენზიის ძალაში შესვლის პირველადი თარიღია 2014 წლის 15 აპრილი). ლიცენზიის ფართობი პრაქტიკულად მთლიანად მოიცავს მოქმედი სარგებლობის ლიცენზიის (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC) ფართობს (საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბნის იმ ტერიტორიის გამოკლებით, რომელსაც №1002122 ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის მინიჭებული ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი).

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების 7¹ მუხლის 2¹ პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიით დადგენილია მისი ამოქმედების კონკრეტული თარიღი და იგი ჯერ არ დამდგარა, ლიცენზიატის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, სამინისტროს შუამდგომლობით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ლიცენზიის გამცემის მიერ, ლიცენზიაში ერთჯერადად შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილება ლიცენზიის ამოქმედების თარიღის გადაწვეასთან დაკავშირებით. ამასთან, ლიცენზიის ამოქმედების თარიღის გადაწვეის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.

როგორც ხსენებული ნორმის ანალიზიდან და შემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შპს „RMG Gold“ - ის



12/24/2014 12:..

მფლობელობაში არსებული სარგებლობის ლიცენზიების (სერია 53 ნომერი 0010 ტიპი VI ABC და №1002122) შემთხვევაში ლიცენზიის ვადის გაგრძელების და მეორე შემთხვევაში ლიცენზიის ძალაში შესვლის გადავადების მექანიზმი უკვე გამოყენებულია (მოქმედი ლიცენზიის ვადის გაგრძელების ხარჯზე ერთხელ უკვე გადავადდა იმავე ფართობზე გაცემული ლიცენზიის ძალაში შესვლა) და მისი ხელახალი გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობს. შესაბამისად, გარემოს ეროვნული სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გიშუამდგომლოთ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინაშე ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით.

პატივისცემით,



სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

ალექსანდრე დევიძე

